სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

№ 5001146423

20/02/2023

5001146423

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
"სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N3/6929 მომართვის (ბიუროს 2023 წლის 7 თებერვლის რეგისტრაციის N8000043923) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N001164223 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 13 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

სტრუქტურა: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ქვესტრუქტურა: სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, განახორციელოთ ქ. თბილისში, წმინდა ნიკოლოზის ქ.#2/კოსტა ხეთაგუროვის ქ.#2-ში მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 01.16.06.042.003.01.504; 01.16.06.042.003.01.502) საექსპერტო საინჟინრო დასკვნის მომზადება შენობა-ნაგებობის მდგრადობის დადგენის მიზნით. აღნიშნული დასკვნით დადგენილ უნდა იქნეს ინფორმაცია შენობა-ნაგებობის მდგრადობაზე და ამასთან, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული შენობა-ნაგებობის შემდგომი ექსპლუატაცია ან ხომ არ საჭიროებს სადემონტაჟო სახის სამუშაოებს.

შემოსვლის თარიღი: 07/02/2023 წ

გასვლის თარიღი: 20/02/2023 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, წმინდა ნიკოლოზის ქ.#2/კოსტა ხეთაგუროვის ქ.#2-ში (საკ. კოდი 01.16.06.042.003.01.504; 01.16.06.042.003.01.502) მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. ხანდაზმულობიდან გამომდინარე მთლიანობაში შენობას განცდილი აქვს ძლიერი, როგორც ფიზიკური, ასევე მორალური ცვეთა. გამომდინარე იქიდან, რომ შენობა წლების განმავლობაში სახურავის გარეშეა და განიცდის ატმოსფერული მოვლენების უარყოფით ზეგავლენას, ხოლო შენობის ნაწილი ჩამოშლილია, მისი მდგომარეობა საკმაოდ დამძიმებულია და არსებობს გარკვეული უბნების ნგრევის საშიშროება. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს როგორც ავარიული, რის გამოც მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს მისი დემონტაჟი.

გამოკვლევა

ჩვენს მიერ ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, წმინდა ნიკოლოზის ქ.#2/კოსტა ხეთაგუროვის ქ.#2-ში (საკ. კოდი 01.16.06.042.003.01.504; 01.16.06.042.003.01.502) მდებარე შენობა ტექნიკური მდგომარეობის და მისი შემდგომი ექსპლუატაციის შესაძლებლობის დადგენის მიზნით. აღნიშნული შენობა სავარაუდოდ აშენებულია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. შენობა ოთხსართულიანია, აქვს სარდაფი, გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, მიახლოებითი გაბარიტული ზომებით 50.0x18.0 მ და განლაგებულია სწორ რელიეფზე (ფოტო 1). შენობის კონსტრუქციული სქემა წარმოდგენილია დუღაბზე ნაშენი გრძივი და განივი მზიდი კედლებით, ამოყვანილი წითელი აგურის წყობით (ფოტო 2), რომელთა სისქეც 40 სმ-დან 100 სმ-მდე მერყეობს. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კოჭებით (ფოტო 3). სართულის სიმაღლე იატაკიდან გადახურვის კოჭის ძირამდე შეადგენს 4.20 მ. შენობაში მოწყობილია ერთი კიბის უჯრედი და ლიფტის შახტა (ფოტო 4; 5). როგორც ირკვევა, შენობაზე მეოთხე სართულის დაშენება განხორციელდა მოგვიანებით, შენობის ექსპლუატაციის პერიოდში. მესამე სართულის გადახურვის დონეში შენობის ფასადის კედლებზე (მზიდ კედლებზე) მოწყობილია მონოლითური სარტყელი (ფოტო 6), რომელზე დაშენებული მეოთხე სართულის კედლებიც შესრულებულია ტუფის ქვის წყობით და აგურის ჩანართებით (ფოტო 7-:-9). დღეის მდგომარეობით შენობის სახურავი სრულად დემონტირებულია.

დღეის მდგომარეობით შენობის სახურავი სრულად დემონტირებულია (ფოტო 10; 11); კედლებზე მოხსნილია ნალესის ფენა (ფოტო 12); სართულშუა გადახურვების ხის კოჭები რიგ ადგილებში დემონტირებულია და მოწყობილია ლითონის კოჭები (ფოტო 13; 14), რომელთა საყრდენი კვანძები შესრულებულია რკინაბეტონის ბალიშის გარეშე ხის ძელებზე (ფოტო 15); კოსტა ხეთაგუროვის ქუჩის მხრიდან შენობის მარჯვენა ტორსულ ნაწილში დაწყებულია ლითონის კიბის მონტაჟი (ფოტო 16); პირველი სართულის კედლებში ღიობების თავზე არსებულ თაღებში ფიქსირდება ბზარები (ფოტო 17-:-19); პირველ სართულზე შენობის განივ კედელში გამოჭრილია 1.30 მ სიგანის ღიობი (ფოტო 20), რომელიც არ არის მოჩარჩოებული, ხოლო მომიჯნავე ღიობთან შუაკედლისის სიგანე შეადგენს 90 სმ (ფოტო 21), რაც არ შეესაბამება სეისმური ნორმების მოთხოვნებს (პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“, მუხლი 15, პუნქტი 14, ცხრილი 10); რიგ ადგილებში კარის ღიობები ამოშენებულია და არსებულ კედლებთან არ გააჩნია სათანადო კავშირი (ფოტო 22; 23); ექსპლუატაციის პერიოდში მოწყობილი ზღუდარები შეუსაბამოა ყველანაირ სამშენებლო ნორმასთან, ადგილებში ზღუდარებად გამოყენებულია რელსები (ფოტო 24); იატაკის დონეზე გათბობის მილების გასატარებლად მოშლილია მზიდი კედლების ფრაგმენტები (ფოტო 25-:-27), რითიც შესუსტებულია აღნიშნული კედლების მზიდუნარიანობა; პირველი სართულის კედლებზე, იატაკთან შეხების ზონებში ფიქსირდება დანესტიანების კვალი (ფოტო 28-:-30); დაახლოებით შენობის შუა ნაწილში, კიბის უჯრედიდან მარჯვენა მხარეს, ჩამოშლილია გადახურვის კონსტრუქციები ოთხივე სართულზე (ფოტო 31-:-34); დაზიანებულია აღნიშნული უბნის მიმდებარე კედლებიც, მეოთხე სართულის კედელს გამოცლილი აქვს საყრდენი და არსებობს მისი ჩამოშლის საშიშროება (ფოტო 35); აღნიშნულ კედელზე ცალი მხრიდან დაყრდნობილია მონოლითური რკინაბეტონის სარტყელი, რომელიც წარმოადგენს დაახლოებით 12-13 მ სიმაღლის კედლების ერთადერთ შემაკავებელ კონსტრუქციას (ფოტო 36), რომლის ჩამოშლის შემთხვევაშიც მოსალოდნელია განივი კედლების რღვევა; ჩამოშლილია კიბის უჯრედის ბაქნებიც (ფოტო 37; 38), რის გამოც მეორე სართულის ზემოთ ასვლა შეუძლებელია; კიბის უჯრედის მიმდებარედ დაზიანებულია კედლების წყობა და აგურით მოწყობილი თაღი (ფოტო 39; 40); შენობის კონსტრუქციული სქემა არ შეესაბამება ქვეყანაში მოქმედი სეისმური ნორმების მოთხოვნებს (პნ 01.01-09 „სეიმომედეგი მშენებლობა“- თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7, რომლის მიხედვითაც „ყველა ტიპის აგურის შენობისათვის აუცილებელ ანტისეისმურ ღონისძიებას წარმოადგენს სახურავისა და გადახურვის დონეზე (ან მის ქვეშ) გრძივი და განივი კედლების პერიმეტრზე ანტისეისმური სარტყლის მოწყობა“). ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში მოქმედი სეისმური ნორმების მიხედვით, 8 ბალიან სეისმურ ზონაში, აგურის შენობების სართულიანობა არ უნდა აღემატებოდეს სამ სართულს (პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“, მუხლი 6, ცხრილი 8). ხანდაზმულობიდან გამომდინარე მთლიანობაში შენობას განცდილი აქვს ძლიერი, როგორც ფიზიკური, ასევე მორალური ცვეთა. გამომდინარე იქიდან, რომ შენობა წლების განმავლობაში სახურავის გარეშეა და განიცდის ატმოსფერული მოვლენების უარყოფით ზეგავლენას, მისი მდგომარეობა საკმაოდ დამძიმებულია და არსებობს გარკვეული უბნების ნგრევის საშისროება. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს როგორც ავარიული, რის გამოც მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს მისი დემონტაჟი.

ამრიგად, ქ. თბილისში, წმინდა ნიკოლოზის ქ.#2/კოსტა ხეთაგუროვის ქ.#2-ში (საკ. კოდი 01.16.06.042.003.01.504; 01.16.06.042.003.01.502) მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. ხანდაზმულობიდან გამომდინარე მთლიანობაში შენობას განცდილი აქვს ძლიერი, როგორც ფიზიკური, ასევე მორალური ცვეთა. გამომდინარე იქიდან, რომ შენობა წლების განმავლობაში სახურავის გარეშეა და განიცდის ატმოსფერული მოვლენების უარყოფით ზეგავლენას, ხოლო შენობის ნაწილი ჩამოშლილია, მისი მდგომარეობა საკმაოდ დამძიმებულია და არსებობს გარკვეული უბნების ნგრევის საშიშროება. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შენობის ამჟამინდელი

ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს როგორც ავარიული, რის გამოც მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს მისი დემონტაჟი.

გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003 შენობა ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევის წესები.

2. პნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" პნ. 01.01-09.

3. СНиП II-7-81* მშენებლობა სეისმურ რაიონებში.

4. СНиП 2-03. 01-84* ბეტონისა და რკ/ბ კონსტრუქციები.

5. СНиП 2-01. 07-85* დატვირთვები და ზემოქმედება.

6. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა:

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა:

ფოტოილუსტრაცია

ფოტო 1

ფოტო 2

ფოტო 3

ფოტო 4

ფოტო 5

ფოტო 6

ფოტო 7

ფოტო 8

ფოტო 9

ფოტო 10

ფოტო 11

ფოტო 12

ფოტო 13

ფოტო 14

ფოტო 15

ფოტო 16

ფოტო 17

ფოტო 18

ფოტო 19

ფოტო 20

ფოტო 21

ფოტო 22

ფოტო 23

ფოტო 24

ფოტო 25

ფოტო 26

ფოტო 27

ფოტო 28

ფოტო 29

ფოტო 30

ფოტო 31

ფოტო 32

ფოტო 33

ფოტო 34

ფოტო 35

ფოტო 36

ფოტო 37

ფოტო 38

ფოტო 39

ფოტო 40